

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

შპს კლიონ ჯორჯია

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2-4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს კლიონ ჯორჯია და მისი საქმიანობა	9
2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	23
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	25
5. აქტივის გამოყენების უფლება	26
6. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში.....	26
7. მარაგები	27
8. გაცემული სესხები	27
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	28
10. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.....	29
11. ფული და ფულის ექვივალენტები	29
12. საწესდებო კაპიტალი.....	29
13. მიღებული სესხები	30
14. საიჯარო ვალდებულებები	30
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	31
16. სახელშეკრულებო ვალდებულებები	31
17. შემოსავალი	31
18. რეალიზაციის თვითღირებულება	32
19. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	32
20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
21. ფინანსური შემოსავალი.....	32
22. ფინანსური ხარჯი	33
23. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა.....	33
24. სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	33
25. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	33
26. ფინანსური რისკების მართვა.....	34
27. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	38
28. შემდგომი მოვლენები.....	39

შპს კლიონ ჯორჯია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კლიონ ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

თეა ქოქოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს კლიონ ჯორჯია-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს კლიონ ჯორჯია-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის 4 აგვისტოს და ამდენად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებოვართ. ჩვენ ვერ შევძელით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიამ დააგენერირა 160,884,469 ლარის შემოსავალი, რომლის შესაბამისი თვითღირებულებაც იყო 155,427,210 ლარი. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გაუანალიზებია აღნიშნული ტრანზაქციების განხორციელება მოხდა პრინციპალის თუ აგენტის როლში, როგორც ეს მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 15-ის მიხედვით. ვინაიდან შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა საკითხი

შპს კლიონ ჯორჯია-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2025 წლის 12 მარტს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოთქვა უარყოფითი მოსაზრება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა შპს აუდიტორული კონცერნი „ცოდნისა“-მ მისი მოსაზრებით, კომპანიის აუდიტორად 2024 წლის ივლისის თვეში დანიშვნის გამო, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დასწრებია. მათ ვერ შეძლეს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ დაადგინეს, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ნაშთი 36,517,959 ლარის ოდენობით, მათ ვერ შეძლეს აღნიშნული მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ღირებულების შემოწმება. ვინაიდან მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ შეძლეს იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა შესაბამისი წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი 38,595,892 ლარის ოდენობით, მათ ვერ შეძლეს აღნიშნული სახელშეკრულებო ვალდებულებების ღირებულების შემოწმება. ვინაიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ შეძლეს იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა შესაბამისი წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ასევე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი 12,729,252 ლარის ოდენობით. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკური სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების ინდენტიფიცირება. შესაბამისად კომპანიის 2023 წლის ანგარიშგებაში ასახული არ ქონდა საექვო მოთხოვნების რეზერვი. აუდიტორებმა ვერ შეძლეს დაედგინათ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გაცვეთ

ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს სფაი ჯორჯია
თამარ მერმანიშვილი

2025 წლის 4 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		4,955	15,172
აქტივის გამოყენების უფლება	5	124,516	84,842
ინვესტივია ასოცირებულ კომპანიაში	6	-	8,039,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		129,471	8,139,614
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,740,769	4,668,444
გაცემული სესხები	8	3,384,389	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	16,914,898	12,729,252
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10	7,909,316	36,517,959
საგადასახადო აქტივი		-	6,310
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	468,226	3,673,556
სულ მიმდინარე აქტივები		32,417,598	57,595,521
სულ აქტივები		32,547,069	65,735,135
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
დაგროვილი ზარალი		8,933,760	10,432,212
სულ კაპიტალი		8,933,760	10,432,212
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	-	-
საიჯარო ვალდებულებები	14	104,321	58,063
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,321	58,063
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	3,198,057	3,746,227
საიჯარო ვალდებულებები	14	29,148	23,097
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	7,289,403	12,879,644
სახელშეკრულებო ვალდებულება	16	12,920,641	38,595,892
საგადასახადო ვალდებულებები		71,739	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		23,508,988	55,244,860
სულ ვალდებულებები		23,613,309	55,302,923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,547,069	65,735,135

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვეა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	17	17,857,025	160,884,469
რეალიზაციის თვითღირებულება	18	(14,013,798)	(155,427,210)
მთლიანი მოგება		3,843,227	5,457,259
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	19	(2,195,054)	(3,542,218)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(310,436)	(572,251)
ფინანსური შემოსავალი	21	265,366	270,594
მოგება მეკავშირე საწარმოს მოგებიდან (წილობრივი მეთოდი)		-	3,119,014
ფინანსური ხარჯები	22	(527,661)	(245,128)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	23	341,450	(880,382)
სხვა არასავალუტო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	24	(2,915,344)	530,392
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადამდე		(1,498,452)	4,137,280
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური (ზარალი)/მოგება		(1,498,452)	4,137,280
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		(1,498,452)	4,137,280

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვეა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023	-	6,294,932	6,294,932
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,137,280	4,137,280
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	10,432,212	10,432,212
სულ წლის სრული ზარალი	-	(1,498,452)	(1,498,452)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	8,933,760	8,933,760

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადებამდე		(1,498,452)	4,137,280
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვთა და ამორტიზაცია	20	41,346	38,665
მოგება მეკავშირე საწარმოს მოგებიდან		-	(3,119,014)
ინვესტიციის რეალიზაციით მიღებული ზარალი	24	2,322,800	-
(მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	23	(341,450)	880,382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	9,24	768,525	-
ფინანსური აქტივის თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული ზარალი	8,24	542,222	-
ფინანსური ვალდებულების თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული შემოსავალი	13,24	(362,167)	-
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	10,24	23,505	-
იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტიდან მიღებული ზარალი	24	3,682	-
კრედიტორული დავალიანების კორექტირებიდან შემოსავალი	24	(468,665)	(545,118)
ფინანსური შემოსავალი	21	(265,366)	(270,594)
ფინანსური ხარჯი	22	527,661	245,128
სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		1,293,641	1,366,729
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		23 821 477	(12,302,853)
მარაგების ზრდა		927,675	1,029,742
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(30,722,171)	3,771,136
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(4,679,378)	(6,135,246)
მიღებული პროცენტის თანხა		20,336	270,594
გადახდილი პროცენტის თანხა		(366,445)	(11,104)
წმინდა ფულადი სახსრები, გამოყენებული საოპერაციო საქმიანობიდან		(5,025,487)	(5,875,756)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიციის რეალიზაციიდან შემოსული თანხები		5,716,800	-
სესხების გაცემა		(3,517,623)	-
წმინდა ფულადი სახსრები, გამომუშავებული საინვესტიციო საქმიანობაში		2,199,177	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	13	19,494,861	12,173,128
სესხების დაფარვა	13	(19,964,475)	(12,144,248)
იჯარის ვალდებულებებზე გადახდილი ძირი თანხა	14	(27,830)	(21,635)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები		(497,444)	7,245
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(3,323,754)	(5,868,511)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	3,673,556	9,713,777
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		118,424	(171,710)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	468,226	3,673,556

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვეა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს კლიონ ჯორჯია და მისი საქმიანობა

შპს „კლიონ ჯორჯია“ („კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 29 სექტემბერს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405118581.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს კლიონგრუპ ფტც“.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები იყვნენ ფიზიკური პირები:

1. ევგენი ბრენგაჩი 56,26% -იანი წილით;
2. დიმიტრი ბობროვი 27,75% -იანი წილით;
3. სერგეი კარდაში 13,06% -იანი წილით;
4. ნატალია ვლასენკო 2,93% -იანი წილით;

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თევზისა და ზღვის საკვები პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

ეს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად მეკავშირე კომპანიებს:

შვილობილი	2024 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2023 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	ყიდვის წელი	ინსტრუქცია
შპს პესქერეას ბელნოვა	-	20%	09/11/2022	თევზის დაჭერა-რეალიზაცია

2024 წლის 12 თებერვალს კომპანიამ სრულად გაასხვისა მისი კუთვნილი 20% წილი მეკავშირე საწარმოში.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 8

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 12 და 12 თანამშრომელი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 12 და 12 თანამშრომელი შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფას-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში, როგორც „შემოსავალი საკურსო ხვაობიდან, ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, იყო შემდეგი: USD 1 = GEL 2.8068 და EUR 1 = GEL 2.9306.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, იყო შემდეგი: USD 1 = GEL 2.6894 და EUR 1 = GEL 2.9753.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარიცხებით. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი

ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

ცვეთა. მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობას და ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში	
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს საწყობებსა, სხვადასხვა ფართს და სამაცივრე დანადგარებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, იჯარისა და არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებაში საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის

აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ მას ექნება შემდგომი შესყიდვის შესაძლებლობა, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურდება მოცემული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში	
შენიშვნა-ნაგებობები	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე.

ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდების ფინანსურ მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები), ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე

დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ („FVTPL“), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“) და ამორტიზებული ღირებულებით („AC“). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“. კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას („SPPI“). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გათვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული, თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტი.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვანად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის. თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას.

კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვანად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად

არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები)) დისკონტირებულ თანხას და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შეძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში. ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური („catch up“) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით,“ („FVTPL“) შეფასების კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს FVTPL კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაში

ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. ზოგადად მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს და შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და შესაბამისად შემდგომში აღრიცხავს მათ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტით ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე. შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად

შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების

მიხედვით.

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საკუთრებისა და მანქანების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს,
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია. დაბალღირებულებიანი აქტივები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობასა და საოფისე ავეჯის მცირე ზომის მუხლებს 10 ათასი ლარის ან ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: (ა) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (ბ) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (გ) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან.

აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შემენასთან დაკავშირებული გადასახდელი დღე გადავადდება 5-დან 10 წლამდე პერიოდით იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც აქვთ 20%-ზე მეტი დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესასყიდ ფასს, იმპორტის და სხვა არააღდგენად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს, შემცირებულს ფასდათმობით, დაბრუნებით და მსგავსი მუხლებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმდინარე მდგომარეობაში და ადგილმდებარეობაზე მოყვანის პროცესში. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული

მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების დემონტაჟის და მოცილების შეფასებული დანახარჯები (აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები) ემატება აქტივის დანახარჯებს აქტივის შეძენისას, ან ამ აქტივის იმ პერიოდში გამოყენებისას, როდესაც მისი გამოყენების მიზანი განსხვავდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნისაგან. როდესაც იცვლება აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობის შეფასება, ამ მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო რესურსების გასვლის შეფასებული ვადების და თანხის ცვლილების გამო, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების გამო, დაკავშირებული აქტივის თვითღირებულება შესწორდება, თუ დაკავშირებული აქტივი ფასდება თვითღირებულების მოდელით, ან შესწორდება გადაფასების ნამეტი, თუ აქტივი ფასდება გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით. მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 30 დღიანი საკრედიტო ირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე. მოგება-ზარალში საპროცენტო შემოსავალი აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება საპენსიო სისტემაში ჩართულ თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით.

განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთები და ტრანზაქციები მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება.

თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისათვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები. გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის მთელ რიგ იჯარებში. ესენი გამოიყენება კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციული მოქნილობის

მაქსიმალურად გაზრდისთვის. გაგრძელების და შეწყვეტის იფციონების უმეტესობა მხოლოდ კომპანიის მიერ შეიძლება იყოს გამოყენებული და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც გაგრძელების იფციონის გამოყენებისთვის ან შეწყვეტის იფციონის არ გამოყენებისთვის ეკონომიკური წახალისებისთვის არის საჭირო. გაგრძელების იფციონი (ან შეწყვეტის იფციონის შემდგომი პერიოდები) შეყვანილი მხოლოდ იჯარის პირობებში თუ იჯარას თან ახლავს გონივრული რწმუნება იმისა, რომ ის გაგრძელდება (ან არ შეწყდება). შენობა-ნაგებობებისა და მანქანების იჯარებისთვის ჩვეულებრივ, ყველაზე შესაბამისია შემდეგი ფაქტორები:

- თუ არსებობს შეწყვეტაზე (ან არ გაგრძელებაზე) მნიშვნელოვანი ჯარიმები, ჩვეულებრივ, კომპანიას გონივრული რწმუნება გააჩნია გააგრძელოს (ან არ შეწყვიტოს იჯარა).
- თუ მოსალოდნელია, რომ რაიმე საიჯარო გაუმჯობესებას გააჩნია მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად წარმოების ნორმალური სვლის რღვევას.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ იფციონი ფაქტობრივად გამოიყენება (ან არ გამოიყენება) ან კომპანია ვალდებული ხდება, რომ ის გამოიყენოს. გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2024 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ცვლილებები ბასს 7-ში - ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები: მომწოდებლებთან ფინანსური შეთანხმებების გამჟღავნება;
- ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი (ბასს 1-ის ცვლილებები);
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ცვლილებები: გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური პირობებით;
- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - იჯარის ვალდებულება გაყიდვის და უკუიჯარის შემთხვევაში.

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ზემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ცვლილებები ბასს 21-ში - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები: გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა¹;
- ფასს 18 - ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენა და გამჟღავნება²;
- ფასს 19 - შვილობილი კომპანიები საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება².

¹. ძალაშია 2024 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

². ძალაშია 2027 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

5. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	შენიშვნა-ნაგებობები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2023	141,404	141,404
დამატება	-	-
გასვლა	-	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	141,404	141,404
დამატება	155,645	155,645
გასვლა	(141,404)	(141,404)
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	155,645	155,645
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	(28,281)	(28,281)
წლის დარიცხვა	(28,281)	(28,281)
გასვლა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(56,562)	(56,562)
წლის დარიცხვა	(31,129)	(31,129)
გასვლა	56,562	56,562
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	(31,129)	(31,129)
ნარჩენი ღირებულება		
31 დეკემბერი 2023	84,842	84,842
31 დეკემბერი 2024	124,516	124,516

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს ოფისისთვის იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებს.

იჯარის ხელშეკრულებების დარჩენილი საშუალო ვადა არის 4 წელი.

იჯარასთან დაკავშირებით სულ წლის სრულ შემოსავალში აღიარებულია შემდეგი თანხები:

	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	31,129	28,281
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	11,325	11,105
სულ	42,454	39,386

6. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში

ასოცირებული კომპანია რეგისტრირებულია ურუგვაიში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში შეადგენს:

		31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
დასახელება	საქმიანობა	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი
შპს პესქუერიას ბელნოვა	თევზჭერა, რეალიზაცია	-	-	8,039,600	20%
სულ ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		-		8,039,600	

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

მოდრაობა ასოცირებული კომპანიის ინვესტიციაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირია:

	2024	2023
ინვესტიციის ღირებულება 1 იანვარი	8,039,600	4,920,586
ასოცირებული კომპანიების მოგების წილი	-	3,119,014
ინვესტიციის ყიდვა	(8,039,600)	-
ინვესტიციის ღირებულება 31 დეკემბერი	-	8,039,600

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მთლიანი ვალდებულებები	-	32,720,894
მთლიანი აქტივები	-	59,964,944
წმინდა აქტივები	-	27,244,050

	2024	2023
მთლიანი შემოსავალი	-	59,644,605
მოგება	-	15,595,072

7. მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თევზი	3,601,057	4,559,822
ხორცი და ნახევარფაბრიკატები	117,527	27,147
სხვა	22,185	81,475
სულ მარაგები	3,740,769	4,668,444

8. გაცემული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს კომპანია სტინგრეი	დოლარი	8.82%	31.12.2025	3,384,389	-
სულ გაცემული სესხები				3,384,389	-

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 თვემდე	245,030	-
ერთიდან თორმეტ თვემდე	3,139,359	-
ერთ წელზე მეტი	-	-
სულ გაცემული სესხები	3,384,389	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული ზარალი	31 დეკემბერი 2024
გაცემული სესხები	-	3,517,623	245,030	163,958	(542,222)	3,384,389

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,683,423	12,729,252
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,683,423	12,729,252
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(768,525)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	16,914,898	12,729,252

სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დინამიკა შემდეგია:

	2024	2023
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 1 იანვარს	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დარიცხვა	(768,525)	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(768,525)	-

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

	ვადაგადაუც ილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი ლებით	30-90 დღის ვადაგადაცი ლებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცი ლებით	სულ
31 დეკემბერი 2024					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება					
დეფოლტისას, სულ	14,508,210	2,888,001	139,508	147,704	17,683,423
მსდ არსებობის მანძილზე	(290,164)	(288,801)	(41,856)	(147,704)	(768,525)

	ვადაგადაუც ილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი ლებით	30-90 დღის ვადაგადაცი ლებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცი ლებით	სულ
31 დეკემბერი 2023					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება					
დეფოლტისას, სულ	12,729,252	-	-	-	12,729,252
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	-	-

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2024			
	მე-2 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო ხარისხი - გაუფასურების გარეშე	მე-3 ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო ხარისხი - გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	290,164	-	290,164
0-30 დღე ვადაგადაცილება	288,801	-	288,801
30-90 დღე ვადაგადაცილება	41,856	-	41,856
90-180 დღე ვადაგადაცილება	-	147,704	147,704
სულ	620,821	147,704	768,525

10. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,932,821	36,517,959
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,932,821	36,517,959
გაუფასურების რეზერვი	(23,505)	-
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, წმინდა	7,909,316	36,517,959

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

(ლარი)	2024	2023
მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	-	-
მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვის ხარჯის დარიცხვა	(23,505)	-
მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	(23,505)	-

11. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბრის 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული სალაროში	9	27
ფული ბანკში	468,217	3,673,529
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	468,226	3,673,556

12. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს კლიონგრუპ ფტც“.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები იყვნენ ფიზიკური პირები:

1. ევგენი ბრენგაჩი 56,26% -იანი წილით;
2. დიმიტრი ბობროვი 27,75% -იანი წილით;

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

3. სერგეი კარდაში 13,06% -იანი წილით;
4. ნატალია ვლასენკო 2,93% -იანი წილით;

13. მიღებული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო		31 დეკემბერი	31 დეკემბერი
		განაკვეთი	ვადიანობა	2024	2023
სს თიბისი ბანკი	ლარი	13.3%	21/11/2025	1,056,424	1,255,199
შპს კლიონ გრუპ ფტც	აშშ დოლარი	9.43%	31/12/2025	2,141,633	2,491,028
სულ სესხები				3,198,057	3,746,227

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი მიღებული სესხები	3,198,057	3,746,227
გრძელვადიანი მიღებული სესხები	-	-
სულ მიღებული სესხები	3,198,057	3,746,227

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2023	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2024
აღებული სესხები	3,746,227	(469,614)	160,667	122,944	(362,167)	3,198,057

	31 დეკემბერი 2022	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული ზარალი	თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2023
აღებული სესხები	3,539,017	28,880	234,023	(55,693)	-	3,746,227

14. საიჯარო ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულებები	133,469	81,160
სულ საიჯარო ვალდებულებები	133,469	81,160

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	29,148	23,097
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	104,321	58,063
სულ საიჯარო ვალდებულებები	133,469	81,160

	2024	2023
1 იანვარი	81,160	103,722
ახალი ფინანსური იჯარის აღიარება	155,645	-
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	11,326	11,104
საკურსო ეფექტი	5,104	(927)
ფინანსური იჯარის გაუქმება	(81,160)	-
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(10,776)	(11,104)
ფინანსური იჯარის ძირის დაფარვა	(27,830)	(21,635)
31 დეკემბერი	133,469	81,160

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	7,283,131	12,871,810
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,272	7,834
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,289,403	12,879,644

16. სახელშეკრულებო ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
1 იანვარი	38,595,892	40,417,100
საკონტრაქტო ვალდებულების ნაშთიდან აღიარებული ამონაგები	(107,907,883)	(40,113,483)
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა შემოსავალი		
მიმდინარე პერიოდში	82,232,632	38,292,275
31 დეკემბერი	12,920,641	38,595,892

17. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
თევზი	14,445,776	160,055,042
ხორცი და ნახევარფაბრიკატები	811,983	829,427
საკომისიო შემოსავალი	2,599,266	-
სულ შემოსავალი	17,857,025	160,884,469

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

18. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
თევზი	13,255,037	154,646,395
ხორცი და ნახევარფაბრიკატები	758,761	780,815
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	14,013,798	155,427,210

19. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდების და მომსახურების ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯი	1,563,928	3,042,915
იჯარის ხარჯი	407,426	482,605
შრომის ანაზღაურება	209,309	-
მიწოდების სხვა ხარჯი	14,391	16,698
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2,195,054	3,542,218

20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	87,963	312,226
კომპიუტერული ხარჯი	71,291	75,338
ბანკის ხარჯი	61,791	77,923
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	31,129	28,281
საკონსულტაციო ხარჯი	23,868	49,749
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	10,217	10,384
საწვავის ხარჯი	4,990	-
იჯარის ხარჯი	3,112	8,779
კომუნიკაციის ხარჯი	2,068	5,440
რემონტის ხარჯი	681	1,821
სხვა ხარჯი	13,326	2,310
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	310,436	572,251

21. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	245,030	-
დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	5,856	8,156
სხვა ფინანსური შემოსავალი	14,480	262,438
სულ ფინანსური შემოსავალი	265,366	270,594

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

22. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
საპროცენტო ხარეჯი მიღებული სესხიდან	516,336	234,023
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	11,325	11,105
სულ ფინანსური ხარჯი	527,661	245,128

23. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა

მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებზე	2,876,533	3,683,746
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(2,535,083)	(4,564,128)
სულ მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	341,450	(880,382)

24. სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა

სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა შედგება შემდეგისაგან:

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებების კორექტირებიდან შემოსავალი	468,665	545,118
ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული შემოსავალი	362,167	-
ასოცირებული კომპანიის წილის გაყიდვიდან ზარალი	(2,322,800)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(768,525)	-
ფინანსური აქტივის თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული ზარალი	(542,222)	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების რეზერვის ხარჯი, წმინდა	(23,505)	-
ფინანსური იჯარის გაუქმებიდან მიღებული ზარალი	(3,682)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(85,442)	(14,726)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	(2,915,344)	530,392

25. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი

გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2024 და 2023 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა. საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით იღებს ყველა საჭირო ზომას.

26. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,914,898	12,729,252
გაცემული სესხები	3,384,389	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	468,226	3,673,556
სულ საკრედიტო რისკი	20,767,513	16,402,808

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,869	458,348	3,371,383	302,146
გაცემული სესხები	3,384,389	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,395,379	1,467,672	10,270,070	1,472,999
სულ ფინანსური აქტივები	17,789,637	1,926,020	13,641,453	1,775,145
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,141,633	-	2,491,028	-
საიჯარო ვალდებულებები	115,745	-	81,160	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,473,529	738,611	5,553,392	7,237,068
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,730,908	738,611	8,125,580	7,237,068
სულ წმინდა პოზიცია	9,058,729	1,187,409	5,515,873	(5,461,923)

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2024 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1,811,746	(1,811,746)	237,482	(237,482)

2023 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1,103,175	(1,103,175)	(1,092,385)	1,092,385

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაშიც.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები (შენიშვნა 13)	3,198,057	3,746,227
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	(468,226)	(3,673,556)
წმინდა სესხები	2,729,831	72,671
 სულ კაპიტალი	 8,933,760	 10,432,212
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	31%	1%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი:

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,914,898	-	16,914,898
გაცემული სესხები	3,681,582	-	3,681,582
ფული და ფულის ეკვივალენტები	468,226	-	468,226
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	21,064,706	-	21,064,706
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,289,403	-	7,289,403
საიჯარო ვალდებულებები	39,652	118,957	158,609
საგადასახადო ვალდებულებები	71,739	-	71,739
მიღებული სესხები	3,500,532	-	3,500,532
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	10,901,326	118,957	11,020,283
ლიკვიდობის დეფიციტი	10,163,380	(118,957)	10,044,423
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	10,163,380	10,044,423	

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბერი:

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,729,252	-	12,729,252
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,673,556	-	3,673,556
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	16,402,808	-	16,402,808
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,879,644	-	12,879,644
საიჯარო ვალდებულებები	32,524	73,309	105,833
მიღებული სესხები	3,906,048	-	3,906,048
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	16,818,216	73,309	16,891,525
ლიკვიდობის დეფიციტი	(415,408)	(73,309)	(488,717)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(415,408)	(488,717)	

27. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,411,400	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(548,348)	-	-
სახელმწიფოებრივი ვალდებულებები	12,588,998	-	-
გაცემული სესხები	3,384,389	-	-
მიღებული სესხები	-	2,141,632	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,624,867	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი
შემოსავალი	2,599,266	-	-
მარაგების შეძენა	1,132,832	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დარიცხვა	548,348	-	-
ფინანსური აქტივის თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული ზარალი	542,222	-	-

შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი
ასოცირებული კომპანიის წილის გაყიდვიდან ზარალი	-	2,322,800	-
შრომის ანაზღაურება	-	-	48,338
საკონსულტაციო ხარჯი	-	6,183	-
საპროცენტო შემოსავალი	245,030	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	184,729	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,467,602	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	38,198,319	-	-
გადახდილი ავანსები	32,035	-	-
მიღებული სესხები	-	2,491,028	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,715,454	615,419	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი
შემოსავალი	144,452,439	-	-
მარაგების შეძენა	1,190,869	-	-
შრომის ანაზღაურება	-	-	47,400
საპროცენტო ხარჯი	-	120,154	-

28. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს კლიონ ჯორჯია
მმართველობითი ანგარიშგება და
2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
მოსაზრება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
ჩვენს შესახებ.....	4
კომპანია	4
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ფინანსური მაჩვენებლები	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს კლიონ ჯორჯია მმართველობითი ანგარიშების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს კლიონ ჯორჯიას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშების აუდიტი. შპს კლიონ ჯორჯიას მმართველობითი ანგარიშება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს კლიონ ჯორჯია. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშებასთან.

შპს სფაი ჯორჯია

თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2025 წელი, თბილისი, საქართველო

ჩვენს შესახებ

კომპანია

შპს „კლიონ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405118581) რეგისტრირებულია 2015 წლის 29 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პარტნიორ-დამფუძნებლებს, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება გაცივებული და გაყინული თევზისა და ზღვის პროდუქტების ვაჭრობის სფეროში, მიზნად აქვთ დასახული ზემოაღნიშნული საქონლით ვაჭრობით მოგების მიღება.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორია არარეზიდენტი კომპანია KlionGroup FTC LTD (რეგისტრაციის ნომერი HE439111, კვიპროსის რესპუბლიკა) და ფლობს 100% წილს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 (ნული) ლარს, რაც დასაშვებია საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით.

კომპანიის მმართველი ორგანოებია:

- ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;
- ბ) კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი;
- გ) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წარმომადგენელი და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია:
დირექტორი – მაქსიმ შჩერბუშენკო.

კომპანიას ფილიალები არა აქვს.

31.12.2024 წლის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

კომპანიის საქმიანობაა გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების და გაყინული ხორცპროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი.

გაყიდვების ძირითადი ბაზრებია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა.

შპს „კლიონ ჯორჯია“ არის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი გაცივებული და გაყინული თევზის და ზღვის პროდუქტების ქართულ ბაზარზე.

რაც შეეხება კომპანიის მონაწილეობას სომხეთის, აზერბაიჯანის და უკრაინის ბაზარზე, შპს

„კლიონ ჯორჯია“ წარმოდგენილია როგორც ექსპორტიორი გაყინული თევზის და ზღვის პროდუქტების.

კომპანიის კონკურენტები იმპორტსა და რეალიზაციაში ქართულ ბაზარზე გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების არიან:

- შპს იზი;
- შპს ფიშ ვორდი;
- შპს ხაკანი.

შპს „კლიონ ჯორჯია“ მდებარეობს თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მისამართზე მოსკოვის გამზირი 8. ჩვენს კომპანია 2017 წლიდან ნაქირავები აქვს ოფისი 140 კვ. მ. და სამაცივრე კამერები შპს „არკოსგან“, სადაც გვაქვს საშუალება განვათავსოთ 800 ტონამდე პროდუქტი შესანახად შემდგომი რეალიზაციისთვის. კომპანია ფლობს სატრანსპორტო საშუალებას - Volkswagen Passat, ასევე ავეჯს, საოფისე და კომპიუტერული ტექნიკას მიმდინარე საქმიანობის წარმართვისთვის. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2024 წელს 12 ადამიანი იყო.

კომპანიის მთავარი მომწოდებლები არიან მსოფლიოში ყველაზე დიდი მწარმოებლები და გამყიდველები გაცივებული და გაყინული თევზის, ზღვის პროდუქტების, გაყინული ხორცპროდუქტების, როგორიცაა: Pacific Seafood Group / აშშ; Iceberg Seafood A/S / დანია; Da Yang Seafood PTE, LTD / სინგაპური; Leroy Seafood AS / ნორვეგია; Lunar Freezing & Cold Storage Co., Ltd. / შოტლანდია; VSV Seafood Iceland ehf / ისლანდია; Longkou East Food Storage Co., LTD / ჩინეთი; J.P. Klausen and Co A.S. / დანია და სხვები.

კომპანია ატარებს კვლევას საერთაშორისო ბაზარზე არსებული თევზისა და ზღვის პროდუქტების მდგომარეობის შესახებ მისი მთავარი მომწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით. ამ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება მენეჯმენტს სწორი ბიზნეს- გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც იმპორტირებული პროდუქციის ასორტიმენტს განსაზღვრავს. ჩვენი გაყიდვების მაჩვენებლებით განისაზღვრება, შიდა ბაზარზე რომელია უფრო გაყიდვადი პოზიციები, რაც გვამძლევს იმპორტირებული პროდუქციის მართვის საშუალებას. ასევე არის სეზონურობის ფაქტორი კომპანიის საქმიანობაში, როგორც გაყიდვებში, ასევე შესყიდვებში.

პროდუქტი, რომელსაც ჩვენ ვყიდით სპეციფიკურია - თევზი და ზღვის პროდუქტები, ამიტომ მას აქვს სეზონურობა გაყიდვებში: მაღალი გაყიდვების სეზონი - სექტემბერი-დეკემბერი და მარტი-მაისი, დაბალი გაყიდვების სეზონი - იანვარ-თებერვალი და ივნისი-აგვისტო. საქონლის შეძენა ხორციელდება კონკრეტული თევზისა და ზღვის პროდუქტების დაჭერის პერიოდში. კომპანიის სავალუტო რისკები, ჰეჯირებულია კონტრაქტების მეშვეობით, რომელთა მიხედვით ფიქსირებული ფასი მიიღწევა სავალუტო კურსზე. კომპანიას არ ემუქრება სესხების დაფარვის რისკი. ყველა სასესხო ვალდებულებები სრულდება დროულად და სრულად. ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა რისკებს, რომლებმაც შეიძლება შეზღუდონ კომპანიის საქმიანობა უახლოეს მომავალში.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება და აანალიზებს ზემოაღნიშნულ რისკებს იმ მიზნით, რომ მომავალში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მცირე რისკიც კი. ამ ეტაპზე კომპანიას სამართლებრივი დავა არ გააჩნია და არცერთ სამთავრობო უწყებასთან უთანხმოება არა აქვს. ჩვენი კომპანია არის გადასახადის გადამხდელთა ოქროს სიაში, რადგან ყოველწლიურად ვახორციელებთ დიდი მოცულობის საქონლის იმპორტს და დროულად ვიხდით იმპორტის გადასახდს და დღგ-ს.

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „კლიონ ჯორჯია“ ბუღალტრულ და მმართველობით აღრიცხვას აწარმოებს „1C საწარმო“ პროგრამაში.

კომპანიის შემოსავალმა 2024 წელს 17 857 025 ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 160 884 469 ლარი. კომპანიის აქტივებმა 2024 წლის ბოლოს შეადგინა 32 547 069 ლარი, მაშინ როცა 2023 წლის ბოლოს მათი ოდენობა 65 735 135 ლარი იყო.

კომპანიის ზარალმა 2024 წელს (1 498 452) ლარი შეადგინა, 2023 წელს კი წლის სრული მოგება იყო - 4 137 280 ლარი.

კომპანიის საკადრო პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომლებზე ზრუნვას და მათ წახალისებას, რაც მოიცავს დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევას უბედური შემთხვევებისგან, საკომუნიკაციო საშუალებების კორპორატიული ქსელით უზრუნველყოფას და კომფორტულ სამუშაო გარემოს შექმნას, ანაზღაურებად შვებულებას და პრემიებს.

დირექტორთან ერთად მნიშვნელოვანი საქმიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ პარტნიორი კომპანიის ხმის მიცემის აქციონერებიც.

გარდა ამისა, მთელი რიგი აქტუალური საკითხები გადაეცემა თანამშრომელთა გუნდს. რომელშიც შედიან შემდეგი პირები: მთავარი ბუღალტერი — თეა ქოქოევა, გაყიდვების მენეჯერები - ზადრი ალხაზიშვილი და დავით მჭედლიძე, დატვირთვა-გადმოტვირთვის განყოფილების უფროსი – მიხეილ ქავთარაძე, საგარეო ვაჭრობისა და ლოგისტიკის მენეჯერი – გიორგი ყალიჩავა, მოლარე ოპერატორი – ირმა თორია.

წარმოგიდგენთ ფინანსურ კოეფიციენტებს რომელიც მიუთითებს 2024 წლის და 2023 წლის შედეგებზე.

	2024	2023
მომგებიანობის კოეფიციენტები		
საერთო მოგების მარჟა	22%	3%
საოპერაციო მოგების მარჟა	14%	3%
წმინდა მოგების მარჟა	-8%	3%
უკუგება კაპიტალზე	-17%	40%
უკუგება აქტივებზე	-5%	6%
ლიკვიდურობის კოეფიციენტები		
ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.38	1.04
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.22	0.96
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.02	0.07

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,914,898	12,729,252
გაცემული სესხები	3,384,389	-
ფული და ფულის ექვივალენტი	468,226	3,673,556
სულ საკრედიტო რისკი	20,767,513	16,402,808

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში

არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,869	458,348	3,371,383	302,146
გაცემული სესხები	3,384,389	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,395,379	1,467,672	10,270,070	1,472,999
სულ ფინანსური აქტივები	17,789,637	1,926,020	13,641,453	1,775,145
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,141,633	-	2,491,028	-
საიჯარო ვალდებულებები	115,745	-	81,160	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,473,529	738,611	5,553,392	7,237,068
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,730,908	738,611	8,125,580	7,237,068
სულ წმინდა პოზიცია	9,058,729	1,187,409	5,515,873	(5,461,923)

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გამვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2024 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL - 20%
მოგება/(ზარალი)	1,811,746	(1,811,746)	237,482	(237,482)

2023 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1,103,175	(1,103,175)	(1,092,385)	1,092,385

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაშიც.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები	3,198,057	3,746,227
ფული და ფულის ეკვივალენტები	(468,226)	(3,673,556)
წმინდა სესხები	2,729,831	72,671
სულ კაპიტალი	8,933,760	10,432,212
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	31%	1%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაუროთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი:

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,914,898	-	16,914,898
გაცემული სესხები	3,681,582	-	3,681,582
ფული და ფულის ეკვივალენტები	468,226	-	468,226
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	21,064,706	-	21,064,706
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,289,403	-	7,289,403
საიჯარო ვალდებულებები	39,652	118,957	158,609
საგადასახადო ვალდებულებები	71,739	-	71,739
მიღებული სესხები	3,500,532	-	3,500,532
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	10,901,326	118,957	11,020,283
ლიკვიდობის დეფიციტი	10,163,380	(118,957)	10,044,423
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	10,163,380	10,044,423	

2023 წლის 31 დეკემბერი :

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,729,252	-	12,729,252
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,673,556	-	3,673,556
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	16,402,808	-	16,402,808
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,879,644	-	12,879,644
საიჯარო ვალდებულებები	32,524	73,309	105,833
მიღებული სესხები	3,906,048	-	3,906,048
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	16,818,216	73,309	16,891,525
ლიკვიდობის დეფიციტი	(415,408)	(73,309)	(488,717)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(415,408)	(488,717)	

შპს „კლიონ ჯორჯია“-ს დირექტორი“

მაქსიმ შჩერბუშენკო

4.11.2025 წ.

შპს კლიონ ჯორჯია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კლიონ ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

თეა ქოქოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს კლიონ ჯორჯია-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს კლიონ ჯორჯია-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის 4 აგვისტოს და ამდენად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიამ დააგენერირა 160,884,469 ლარის შემოსავალი, რომლის შესაბამისი თვითღირებულებაც იყო 155,427,210 ლარი. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გაუანალიზებია აღნიშნული ტრანზაქციების განხორციელება მოხდა პრინციპალის თუ აგენტის როლში, როგორც ეს მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 15-ის მიხედვით. ვინაიდან შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა საკითხი

შპს კლიონ ჯორჯია-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2025 წლის 12 მარტს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოთქვა უარყოფითი მოსაზრება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა შპს აუდიტორული კონცერნი „ცოდნისა“-მ მისი მოსაზრებით, კომპანიის აუდიტორად 2024 წლის ივლისის თვეში დანიშვნის გამო, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დასწრებია. მათ ვერ შეძლეს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ დაადგინეს, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ნაშთი 36,517,959 ლარის ოდენობით, მათ ვერ შეძლეს აღნიშნული მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ღირებულების შემოწმება. ვინაიდან მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ შეძლეს იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა შესაბამისი წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი 38,595,892 ლარის ოდენობით, მათ ვერ შეძლეს აღნიშნული სახელშეკრულებო ვალდებულებების ღირებულების შემოწმება. ვინაიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მათ ვერ შეძლეს იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა შესაბამისი წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ასევე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აღრიცხული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი 12,729,252 ლარის ოდენობით. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკური სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების ინდენტიფიცირება. შესაბამისად კომპანიის 2023 წლის ანგარიშგებაში ასახული არ ქონდა საექვო მოთხოვნების რეზერვი. აუდიტორებმა ვერ შეძლეს დაედგინათ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ

ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინაჩვენებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს სფაი ჯორჯია
თამარ მერმანიშვილი

2025 წლის 4 ნოემბერი
თბილისი, საქართველო





შპს კლიონ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		4,955	15,172
აქტივის გამოყენების უფლება	5	124,516	84,842
ინვესტივია ასოცირებულ კომპანიაში	6	-	8,039,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		129,471	8,139,614
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,740,769	4,668,444
გაცემული სესხები	8	3,384,389	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	16,914,898	12,729,252
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10	7,909,316	36,517,959
საგადასახადო აქტივი		-	6,310
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	468,226	3,673,556
სულ მიმდინარე აქტივები		32,417,598	57,595,521
სულ აქტივები		32,547,069	65,735,135
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
დაგროვილი ზარალი		8,933,760	10,432,212
სულ კაპიტალი		8,933,760	10,432,212
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	-	-
საიჯარო ვალდებულებები	14	104,321	58,063
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,321	58,063
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	3,198,057	3,746,227
საიჯარო ვალდებულებები	14	29,148	23,097
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	7,289,403	12,879,644
სახელშეკრულებო ვალდებულება	16	12,920,641	38,595,892
საგადასახადო ვალდებულებები		71,739	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		23,508,988	55,244,860
სულ ვალდებულებები		23,613,309	55,302,923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,547,069	65,735,135

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	17	17,857,025	160,884,469
რეალიზაციის თვითღირებულება	18	(14,013,798)	(155,427,210)
მთლიანი მოგება		3,843,227	5,457,259
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	19	(2,195,054)	(3,542,218)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(310,436)	(572,251)
ფინანსური შემოსავალი	21	265,366	270,594
მოგება მეკავშირე საწარმოს მოგებიდან (წილობრივი მეთოდი)		-	3,119,014
ფინანსური ხარჯები	22	(527,661)	(245,128)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	23	341,450	(880,382)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	24	(2,915,344)	530,392
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადამდე		(1,498,452)	4,137,280
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური (ზარალი)/მოგება		(1,498,452)	4,137,280
წლიური სხვა-სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		(1,498,452)	4,137,280

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მამსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოევა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023	-	6,294,932	6,294,932
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,137,280	4,137,280
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	10,432,212	10,432,212
სულ წლის სრული ზარალი	-	(1,498,452)	(1,498,452)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	8,933,760	8,933,760

გამოსაკვეთებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შერბუშენკო
დირექტორი

თეა ჟოჟოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს კლიონ ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადებამდე		(1,498,452)	4,137,280
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვთა და ამორტიზაცია	20	41,346	38,665
მოგება მეკავშირე საწარმოს მოგებიდან		-	(3,119,014)
ინვესტიციის რეალიზაციით მიღებული ზარალი	24	2,322,800	-
(მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	23	(341,450)	880,382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	9,24	768,525	-
ფინანსური აქტივის თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული ზარალი	8,24	542,222	-
ფინანსური ვალდებულების თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებიდან მიღებული შემოსავალი	13,24	(362,167)	-
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	10,24	23,505	-
იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტიდან მიღებული ზარალი	24	3,682	-
კრედიტორული დავალიანების კორექტირებიდან შემოსავალი	24	(468,665)	(545,118)
ფინანსური შემოსავალი	21	(265,366)	(270,594)
ფინანსური ხარჯი	22	527,661	245,128
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		1,293,641	1,366,729
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		23 821 477	(12,302,853)
მარაგების ზრდა		927,675	1,029,742
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(30,722,171)	3,771,136
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(4,679,378)	(6,135,246)
მიღებული პროცენტის თანხა		20,336	270,594
გადახდილი პროცენტის თანხა		(366,445)	(11,104)
წმინდა ფულადი სახსრები, გამოყენებული საოპერაციო საქმიანობიდან		(5,025,487)	(5,875,756)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიციის რეალიზაციიდან შემოსული თანხები		5,716,800	-
სესხების გაცემა		(3,517,623)	-
წმინდა ფულადი სახსრები, გამომუშავებული საინვესტიციო საქმიანობაში		2,199,177	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	13	19,494,861	12,173,128
სესხების დაფარვა	13	(19,964,475)	(12,144,248)
იჯარის ვალდებულებებზე გადახდილი ძირი თანხა	14	(27,830)	(21,635)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები		(497,444)	7,245
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(3,323,754)	(5,868,511)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	3,673,556	9,713,777
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		118,424	(171,710)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	468,226	3,673,556

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 4 ნოემბერს.

მაქსიმ შვერბუშენკო
დირექტორი

თეა ქოქოვა
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 4 ნოემბერი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



The member of



ბიძინა კვერნაძის 7 / პავლე ასლანიძე 12
0171 თბილისი, საქართველო
7 Bidzina Kvernadze / 12 Pavle Aslanidi
0171 Tbilisi, Georgia
www.mcgaudit.ge info@mcgaudit.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს კლიონ ჯორჯია მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს კლიონ ჯორჯიას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს კლიონ ჯორჯიას მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს კლიონ ჯორჯია. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვეველობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს სფაი ჯორჯია


თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2025 წელი, თბილისი, საქართველო



ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,914,898	-	16,914,898
გაცემული სესხები	3,681,582	-	3,681,582
ფული და ფულის ეკვივალენტები	468,226	-	468,226
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	21,064,706	-	21,064,706
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,289,403	-	7,289,403
საიჯარო ვალდებულებები	39,652	118,957	158,609
საგადასახადო ვალდებულებები	71,739	-	71,739
მიღებული სესხები	3,500,532	-	3,500,532
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	10,901,326	118,957	11,020,283
ლიკვიდობის დეფიციტი	10,163,380	(118,957)	10,044,423
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	10,163,380	10,044,423	

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,729,252	-	12,729,252
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,673,556	-	3,673,556
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	16,402,808	-	16,402,808
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,879,644	-	12,879,644
საიჯარო ვალდებულებები	32,524	73,309	105,833
მიღებული სესხები	3,906,048	-	3,906,048
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	16,818,216	73,309	16,891,525
ლიკვიდობის დეფიციტი	(415,408)	(73,309)	(488,717)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(415,408)	(488,717)	

4.11.2025 ४

